პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 აგვისტო ხუთშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 199 (14803)

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ალმა-ატაში ჩავიდა

ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობისათვის 26 აგვისტოს ალმა-ატაში ჩავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. (საკდესი).

საიუბილეო ზეიმზე

26 აგვისტოს საქართველოს სს რესპუბლიკის დელეგაცია, რომელშიც შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. პ. მჟავანაძე (ხელმძღვანელი), მწერალი პ. ა. ლორთქიფანიძე, თბილისის ჭარხანა „ელექტროავტომატის“ მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ბ. ბ. წულაია და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ლ. ნიკოლაიშვილი, ალმა-ატაში გაფრინდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. (საქდესი).

მეშახტეთა მილოცვები

ლონდონი, 25 აგვისტო. (ტასი). ინგლისელ მეშახტეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მეცნიერებმა ფონ-ფონში პირველმა მიბაძეს მოსკოვის მშრომელთა მაგალითს, რომლებიც ჩაიბნენ შეჯიბრებაში საბჭოთა ავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. დღეს რესპუბლიკის მაღაროელებმა დაამთავრეს მეზუთმეტილონეტონა ქვანახშირის ამოღება, რომელიც წლის დამდეგიდან მიიღეს დაგალების გადამეტებით.

დონბასის 27 შახტმა და მექანიზატორთა 260 კომპლექსურმა ბრიგადამ უკვე შეასრულეს ქვანახშირის მოპოვების ხუთწლიანი გეგმა.

საერთაშორისო კონფერენცია

მინსკი, 25 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა სოფლის მეურნეობის ეკონომისტთა XIV საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სიმპოზიუმი საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესახებ.

მოხსენება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარება“ გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მატუსევიჩმა.

საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების საინტერესო მაგალითები მოიყვანეს თავიანთ მოხსენებებში ვორონეჟის ოლქის კოლმეურნეობა „პოდგორნოეს“ თავმჯდომარემ ფ. პ. ბორინმა და როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობის „გიგანტის“ დირექტორმა ფ. ფ. ანგელიევმა.

სიმპოზიუმზე გამოვიდნენ აგრეთვე ბელორუსიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ს. ბ. სპირიდონოვი, შუა აზიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ხ. მ. ჯალილოვი.

იმავე დღეს გაიმართა სხვა პლენარული სხდომები.

მეათასე მიწისძვეშა კომბაინი

კოკჩეტავი (ჩელიაბინსკის ოლქი), 25 აგვისტო. (საკდესი კორ.). მეათასე სამთო კომბაინი „პკ-3მ“ გამოუშვა კოკჩეტავის ქიროვის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ. დღეს ეს აგრეგატი გაეგზავნა „ვორკუტქვანახშირის“ კომბინატის № 20 შახტს.

„პკ-3მ“ ტიპის კომბაინები წარმატებით მუშაობენ ყველა ჩვენს ქვანახშირის აუზსა და მთელი რიგი საზღვარგარეთის ქვეყნების შახტებში. დღეისათვის აგრეგატს შეუძლია მიწის ქვეშ გაიყვანოს ეს მეტრამდე სიგრძის დერეფანი და გამოკვეთოს რვა კვადრატულ მეტრამდე ფართობი.

XXIV

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ!

50

კოოპერატორთა მთავარი საზრუნავი

ᲓᲘᲓᲘᲗᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ საიმედო მეგობრებს უწოდებენ სოფლად ხამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს. ემსახურებიან რა ათასნაირ, ვინც შრომობს ყანაში, ფერმებში და ხაძოვრებზე, მშენებლობებზე და ხკოლებში, ემსახურებიან რა სოფლის ყველა მცხოვრებს, ისინი დიდ, კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ. კოოპერაციის მნიშვნელობა და მისი ამოცანები განუწყვეტლივ იზრდება.

საბჭოთა კოოპერაციული მოძრაობა განუყრელად დაკავშირებულია ვ. ი. ლენინის სახელთან, რომელმაც განსაზღვრა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გზები. ლენინს კოოპერაცია მიაჩნდა სოციალიზმის მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის ყველაზე სწრაფ, მასებისათვის ხელმისაწვდომ და გასაგებ ფორმად. „კოოპერაცია, — წერდა, იგი, — უდიდესი კულტურული მეტყველებაა, რომელიც უნდა დავაფასოთ და გამოვიყენოთ“.

ჩვენი პარტია და მთავრობა დღენიადაგ ზრუნავენ ხამომხმარებლო კოოპერაციისათვის, და ამჟამად იგი მძლავრი ხაზოგადოებრივ-ხამეურნეო ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს თითქმის 60 მილიონ კაცს. კოოპერაციის განუხრელი განმტკიცება და განვითარება შეეხამება სოციალისტური ხაზოგადოების საარსებო ინტერესებს.

საბჭოთა კოოპერატორები ხელს უწყობენ ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებას. ამას, კერძოდ, მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ხამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა გაიზარდა 11,6 მილიარდი მანეთით წინა ოთხი წლის 6,5 მილიარდ მანეთთან შედარებით და შარშან 41,5 მილიარდი მანეთი შეადგინა. გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის მოცულობა, მათი ხამრეწველო გადამუშავება. სოფლებში აშენდა ათასობით ახალი, თანამედროვე მაღაზია, ხაზოგადოებრივი კვების საწარმოები.

ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, კოლმეურნეობებისა და ხაბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობა, სოფლის მშრომელთა მოთხოვნების ზრდა ხამომხმარებლო კოოპერაციას უყენებს ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებში დასახულია სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული აღმავლობის გზები. დიდი როლი უნდა შეასრულონ ამ საბჭოთა კოოპერატორებმაც. ამაზე დიდი პასუხისმგებლობით ლაპარაკობდნენ სსრ კავშირის ხამომხმარებლო კოოპერაციის რწმენებულთა ამას წინათ გამართული VIII ყრილობის დელეგატები. ყრილობამ დასახა კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის, მათი სამეურნეო ბაზის განმტკიცების, მოსახლეობის ხავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი. ყრილობამ ჩაიარა ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმების ვადამდე დამთავრებისათვის კოოპერაციის მუშაკთა, ყველა მეკაიეთა დარაზმვის ნიშნით.

განვავითაროთ ვაჭრობა სოფლად — ეს ნიშნავს უზრუნველყოთ ხამეხელმწიფოს ზრდა, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ მომსახურების კულტურა. ვაწარმოოთ მუშაობა მეთოდებით, რომლებიც შეეხამება თანამედროვე პირობებს, მომხმარებლისათვის ზრუნვა კოოპერატორთა ძირითადი მცნებაა. მათი მოვალეობაა დღითიდღე უკეთ ითვალისწინებდნენ ხაბჭოთა ადამიანების მოთხოვნებს და აკმაყოფილებდნენ მათს მოთხოვნილებებს.

უადრესად საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ ადგილობრივი შესაძლებლობანი ხაჭირო ხაქონლის წარმოებისათვის, უფრო აქტიურად მოვაღწიოთ გავლენა ინდუსტრიაზე ახალი ნაწარმის გამოშვების გასადიდებლად. მიზანშეწონილია გავაფართოოთ მრეწველობასთან კოოპკავშირების პირდაპირი ხასელშეკრულებო ურთიერთობა, გავზარდოთ ხაკუთარი წარმოება, შევიხვეიდოთ მეტი ხაქონელი, რომელსაც უშვებენ კოლმეურნეობებსა და ხაბჭოთა მეურნეობების ხარეწები.

ბევრი რამის გაკეთება შეუძლია სოფლის ვაჭრობას მშრომელთა დროის დასაზოგავად. უნდა ჩამოვაყალიბოთ ხავაჭრო ახორციელებელი მოთხოვნის შესახებ მეცნიერული მონაცემების, შემოწმებული ფაქტების საფუძველზე, უფრო სწრაფად დავნერგოთ ვაჭრობის პროგრესული ფორმები, და უწინარეს ყოვლისა ოვითმომსახურება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიურად მოსახლეობისათვის ყველაზე ხელსაყრელი, მოსახერხებელია ხავაჭრო კომპლექსები, სადაც ერთ ადგილას განლაგებულია მაღაზიები და ხაზოგადოებრივი კვების საწარმოები. ხამეწუხაროდ, ასეთი საწარმოები ჯერჯერობით ცოტაა. მუდმივ ზრუნვას მოითხოვს აგრეთვე დატარებითი ვაჭრობა.

„პრავდაში“ ჯერ კიდევ მოდის წერილები, რომლებშიც მთელი რიგი რაიონების სოფლის მცხოვრებლები ჩივიან, რომ ყოველდღიური მოთხოვნილების ხაქონელთა ვაჭრობაში შეფერხებებია. ეს ზოგჯერ ხდება ხამომხმარებლო კოოპერაციის ადგილობრივი ორგანოების უპასუხისმგებლობის, დაუდევრობის, მათ მიერ ბაზებისა და მაღაზიების მოუქნელი მართვის გამო. ცენტროსოიუზმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ მსახმრივი მოთხოვნილების ხაქონლის გაყიდვა შეუფერხებლად წარმოებდეს თვითეულ სოფელში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კოოპერატორებს მოუწოდა უზრუნველყონ ხაზოგადოებრივი კვებისა და პურის ცხობის შემდგომი განვითარება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მშრომელთა ყოფაცხოვრების გადაქმნისათვის, გააფართოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა, აამაღლონ თავიანთი ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებისათვის. უნდა შეეკვნათ ხამომხმარებლებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების ზუსტი და შეუფერხებელი სისტემა, გავაფართოოთ მაღაზიებისა და ხასწდილოების ქსელი. კოოპერაციამ ბევრი რამ უნდა გააკეთოს აგრეთვე სოფლების კეთილმოწყობის, სოფლის მშრომელთა ოჯახების ყოფიერებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ეხება ბაზრებისა და ბაზარ-ფასების ორგანიზაციას, ხალხური ხელოვნების, ხელოსნობის, ეროვნული ტანსაცმლის, ეროვნული ფეხსაცმლ

მსოფლიო დღეს

გაიხსნა დამასკოს ბაზრობა

დამასკო, 26 აგვისტო. (საკდესი). დამასკოში გაიხსნა XVII საერთაშორისო ბაზრობა. ბაზრობის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ამდელ ხალიმ ხადამმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო სირიელი ხალხის წარმატებებს განვითარების არაკაპიტალისტურ გზაზე. მტკიცე ეკონომიური ბაზის შეუქმნელად, ხაში გაუსვა ხადამმა, შეუძლებელი იქნებოდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება.

ხადამმა თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო სირიის თანამშრომლობას სოციალისტურ სახელმწიფოებთან, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკას განვითარების ეკონომიური პროგენტების განხორციელებაში.

დამასკოს XVII საერთაშორისო ბაზრობაზე წარმოდგენილია 26 სახელმწიფოს საქონელი. საბჭოთა კავშირი დამასკოს ბაზრობის ტრადიციული მონაწილეა, საბჭოთა პავილიონში წარმოდგენილია ლითონსაჭრელი ჩარხები, სასოფლო-სამეურნეო და საგზაო-სამშენებლო მანქანები, ენერგეტიკული მოწყობილობა, ფართო ასორტიმენტის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი.

საერთაშორისო თათბირი ეროვნული ბიბლიოთეკის

სოფია, 26 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო თათბირი. ბულგარეთის დელეგაციის საგანგებო ოუწყება, რომ მეცნიერები ამსკელებენ თემაზე „ადამიანი და მისი სოციალური გარემო“.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

##

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲖᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲠᲔᲙᲔᲒᲝᲓᲔᲡ

თიანეთელთა სიხარული

თიანეთის კარიბჭესთან მისულისთანავე მგზავრთა ყურადღებას იპყრობს დაბის დასავლეთით ჩამწკრივებული მაღალი ქვეტყრის შენობები, მწვანით შეფოსილი კარმიდამო, ბაღებითა და ქალიშვილებით აბობოქრებული სკოლა-ინტერნატია, ოგელწლიურად 410 მოსწავლეს რომ ზრდის და ივარაკაცებს.

ამ ათოიოდ წლის წინათ აქ მოტიტვლებული მინდორი იყო, ირის ხეობის თავაწყვეტილი ჭალი დაჭაროდა, ან მიხეხვარე სხვები როკავდნენ ეანგისფერ მიწაზე. სახრდილობელი ხეც კი არსად იდგა.

მოელოდნელად მოვიდნენ მშენებლები, მოვიდნენ და მოიტანეს სიცოცხლე და შრომის ხმაური, ადგილზეს მძლავრი მიჭანზმები, დაახვავეს სამშენებლო მასალა, რომელიც მალე სასახლეებად წამოიმართა.

თიანეთის სკოლა-ინტერნატი ხალისიანი დღე. ნორჩებს ყველაფერი მზად უნდა დახვდეთ.

წელს თიანეთის სკოლა-ინტერნატის შეკეთებას და ახალი ხელსაწყოებითა და ინვენტარით შეესებას 15 ათას მანეთამდე მოუმატდა, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ბავშვთა სწავლისა და ყოფაცხოვრების პირობებს.

დირექტორს სხვაც ბევრი აქვს საზრუნავი და საფიქრებელი. მოსწავლეთა კონტინგენტის შეკეთებისას მეიძარი ყურადღება უნდა დაეთმოს მაღალმთიან სოფლებში ჭცხოვრებ კოლმეურნეთა შვილებს. იმათ, რომლებიც დიდი მანძილით არიან დაშორებულნ სკოლებს და ამის გამო მაღალ კლასებში სწავლას გაგრძელება უჭირთ.

დავითმა ხომ ხელისგულივით იცის მთელი რაიონის ტერიტორია, გზა და ბილიკი, სოფელი და სახლი. ის ეირის სათავეებთან გაიზორდა და გაჭაღარავდა, თიანეთის რაიონის განახლებასა და წინსვლას მოახმარა თავისი ნიჭი და უნარი, იყო პარტიაიკომის მდივანი.

სახე იცვალა დაბა თიანეთმა, საკოლმეურნეო სოფლებმა, გზებმა, ხიდებმა. მთებში დაგებდა ზღვა — სორნის უზარმაზარი წყალსაცავი და დადებითად გადაწყდა სამგორის თვალუწვდენი ველების გაწყლიანების პრობლემა. მდინარე ეორზე აღმართული ელადგური და ილიბის ნათურები აკაშკაშდა მიდამო...

გაპეურებს დავით გონჭილაშვილი განახლებულ კუთხეს და სახეს კმაყოფილების ნათელი უფენს. ის მადლიერია მთიელთა მოუღლელი მარჯვენისა, სულ უფრო მეტ ბარაქას რომ ითავებენ მთათა კალთებზე და იმედით მელიან ყოველ ახალ დღეს.

რვა წელია დავითი ნორჩი თაობის აღზრდას იმსახურება. პატარების ქომაგი და მათი უმწიკვლო გულის მესაიდუმლეა. მარჯვე ხელი აქაც ეტყობა საქმეს. სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები მოწინავენი არიან სწავლაშიც და სპორტშიც, ხელგარჯილობაშიც და მხატვრულ თვითმოქმედებაშიც.

ფერთო დარბაზში გამოფენილი ბავშვთა ნამუშევრები უფრო დიდ საპატივო დაწესებულებასაც დაამშვენებდა. რას არ შეხვდებით აქ — ნაქარგებსა და ნაქსოვებს, ნახატებსა და ნიმერწებს, ფოტორეპროდუქციებსა და ფოტოტეტიუდებს, ხისა და ლითონისს მხატვრულად დამუშავების ნიმუშებს. დიახ, ბევრია კარგი და მიმზიდველი ექსპონატები, და ყველა. მოწყალეთა ხელით არის გაკეთებული.

— ძალიან კარგი ბავშვები გვყავს, ნიჭიერნი და დამჭერენი. რა არის იმაზე დიდი ბედნიერება, რომ ამაყობდე სიცოცხლის სიყვარულით, ზრუნავდე ნორჩი თაობის ელეზოდისათვის და იცოდე, რომ ამაგი დაგიფასდება, — ეტყვის ხოლმე დირექტორი.

როგორც წერილის თავში ვთქვით, დღემდე თიანეთის სკოლა-ინტერნატის კედლებიდან სამასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი გავიდა ცხოვრების ფართო შარაგზაზე და გაამართლა აღმზრდელ-მასწავლებელთა ნდობა. ისინი ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში შრომობენ და სწავლობენ, ემზადებიან მაღალი ზღვიდების ასაღებად.

ახლოვდება პირველი სექტემბერი, სანუკვარი თვის უღრუბელო განთიადი. ახალი ძალით აწკრიალებული ზარი მერხებთან მოუხმობს მოსწავლეებს, მასწავლებლებს, აღმზრდელებს. სასიამოვნოა, რომ თიანეთის სკოლა-ინტერნატიც მომზადებული ხვდება სიცოცხლით სავსე დღეს. კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური კოლექტივი ძვირფასი საჩუქრებით ეგებება საყვარელ გოგობეჭვებს.

ბ. გიგაური.

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲞᲝᲠᲤᲘᲚᲔᲕ-ᲫᲔ ᲥᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲗ



ქართულმა ხალხურ მხატვრობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ხალხურ-ეროვნული სსრ ხალხური მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების კათედრის გამგე, პროფესორი **ნიკოლოზ პორფილეს-ძე ქანდელაკი.**

ნიკოლოზ ქანდელაკმა დიდი და ნაყოფიერი, შემოქმედებითი ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1889 წლის 18 ნოემბერს დაბა ყულაშში (სამტრედიის რაიონი). ხალშეული განათლება ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო. 1910-1915 წლებში ნიკოლოზ ქანდელაკი პეტერბურგის ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში სწავლობს. პეტერბურგში სწავლის პერიოდში პირველად იჩინა თავი ნიკოლოზ ქანდელაკის მხატვრობისადმი. მაგრამ პირველი იმპერიალისტური ომის გამო, ნ. ქანდელაკი ძალდებული გახდა შეეწყვიტა სწავლა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1915-1921 წლებში ნიკოლოზ ქანდელაკი შრომითს ხელმიანობას ეწევა, საქართველოში ხალხოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი კვლავ უბრუნდება მხატვრობას.

1922 წელს ნიკოლოზ ქანდელაკის მიერ შექმნილმა პატარა ზომის ქანდაკებამ („ბებერაკის პორტრეტი") ქართველი მხატვრებისა და ხალხოთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სპეციალურმა სახელმწიფო სამხატვრო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს თავრობის წინაშე თვითნასწავლი ნიჭიერი მოქანდაკის ლენინგრადის სამხატვრო აკადემიაში მიღების შესახებ.

ამავე წელს ნ. ქანდელაკი ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. 1926 წელს ნ. ქანდელაკმა წარჩინებით დაამთავრა ლენინგრადის სამხატვრო აკადემია და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიწვეულ იქნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების მასწავლებლად. ამ პერიოდიდან იწყება ნიკოლოზ ქანდელაკის პედაგოგიური მოღვაწეობისა და შემოქმედებითი ცხოვრების დიდი გზა.

ნიკოლოზ ქანდელაკის მხატვრული შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. თვითეული მისი შემოქმედებითი მიღწევა ქართული ქანდაკების ეტაპური განვითარების საზომი გახდა. მისი შემოქმედებითი ზრდა ქართული ქანდაკების სკოლის წინსვლას წარმოადგენს ეროვნული პლასტიკური ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით. ნიკოლოზ ქანდელაკის აღზრდილ მოქანდაკეთა მთელი მომდევნო თაობის წარმომადგენლები დღეს საქართველოს სახალხო და დამსახურებული მხატვრები არიან.

ნიკოლოზ ქანდელაკი ქართულ სახვით ხელოვნებაში ფიგურალური ქანდაკების ოსტატია. იგი პირველად ამკვიდრებს და ამაღლებს ფიგურის ძერწვის დიდ პროფესიულ კულტურას.

ფიგურა ქანდაკებაში ნიკოლოზ ქანდელაკის დიდი შემოქმედებითი მუშაა იყო, მაგრამ პორტრეტულ ქანდაკებას მხატვრის შემოქმედებაში მაინც განსაზღვრული ადგილი უჭირავს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნიკოლოზ ქანდელაკის დიდი დამსახურება ქართული მონუმენტური პლასტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. ნ. ქანდელაკის მიერ შექმნილ პატარა თუ დიდი ზომის ფიგურალურ გამოსახულებაში ან პორტრეტულ ნამუშევრებში ყოველთვის მკვეთრად იგრძნობა მონუმენტური ფორმა, სადაც მოქანდაკე დიდ მხატვრულ აზრს აქსოვს. ძნელია ეროვნული შეფასება მიეცეს მოქანდაკის ახე უხვად და მაღლივად შესრულებულ ნაწარმოებებს, თვითეული მათგანი მხატვრული აზრისა და პლასტიკური ხელოვნების მიღწევას წარმოადგენს. თანამედროვეობის დიდი გრძნობა, ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრულად ამაღლებული აღქმა და ფორმის ლაკონიური სრულყოფა ნიკოლოზ ქანდელაკის შემოქმედებითი ტალანტის ძირითად მაჩვენებელ ძალას წარმოადგენს.

ნიკოლოზ ქანდელაკის მარჯვენას მიეკუთვნება დიდი გალერეა ფართოდ ცნობილი პორტრეტული ქანდაკებებისა, რამაც ხელოვანს საქვეყნო აღიარება და ჩვენი დროის დიდოსტატის სახელი დაუმკვიდრა. ასეთი ნაწარმოებებია მის მიერ შექმნილი თანამედროვე ხალხოთა ადამიანები, მშრომელი ხალხოვადიების წარმომადგენლების, კულტურის, მეცნიერებისა თუ სხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტული ქანდაკებები.

ნიკოლოზ ქანდელაკის პორტრეტულ ქანდაკებებში განსაკუთრებით აღსანიშნავია იმერული მეშახტის, ხალხოთა კავშირის ხალხთა არტისტის აკაკი ხორავას, ხალხოთა კავშირის მარშალის ტოლუხინის, აკადემიკოს ნიკოლოზ მუხელიშვილისა და სხვათა პორტრეტები, რომლებიც ქართული პლასტიკური ხელოვნების დიდი მონაპოვარია.

ნიკოლოზ ქანდელაკის შემოქმედებით მიღწევას, მხატვრული ფორმის ძიებას ქართული პლასტიკის განვითარებისათვის არა მარტო ეტაპური მნიშვნელობა აქვს, არამედ იგი ჩვენი ხელოვნების შემდგომი აღმავლობის საწინდარია.

კომუნისტურმა პარტიამ, ხალხოთა ხელისუფლებამ, ჩვენმა თანამედროვე საზოგადოებამ ღირსეულად დააფასეს დიდი ხელოვანის შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. 1969 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა აღნიშნა ნიკოლოზ ქანდელაკის დაბადების 80 წლისთავი.

გამოჩენილი ხელოვანისა და პედაგოგის ნიკოლოზ ქანდელაკის სახელი და შემოქმედება მარად დაუვიწყარი იქნება მშობლიური ქართველ ხალხში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ᲐᲚᲤᲠᲓᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

● ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲘᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ● ᲫᲜᲔᲚᲐᲓᲐᲚᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ● ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ

მოზარდი თაობის აღზრდა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და რთული პრობლემაა.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლა გულისხმობს როგორც ადამიანის კეთილდღეობის ზრდას, მისი სულიერი კულტურის გაღრმავებას, იმავ ზეობრივი სახის სრულყოფას.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ სხვებში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულის შემთხვევები არასრულწლოვანთა შორის, მაგრამ ამასთან ერთად ჯერ კიდევ გვხვდება არასრულწლოვანთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები და ზოგჯერ დანაშაულის ფაქტებიც კი.

მშობლების, პედაგოგებისა და ექიმების დაკვირვებათა თანახმად ბევრი ბავშვისა და მოზარდისათვის დამახასიათებელია ქცევის დროებითი გადახრა. თუმცა შემთხვევათა უმრავლესობაში, ერთი-ორი წლისა, ეს ბავშვთა ადვილად სწორდება. ამასთან ერთად, საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ბავშვთა გარკვეული ნაწილის ქცევა ხშირად სცილდება ბავშვისათვის დასაშვებ სიცელქეს და იღებს საზოგადოებისათვის მიუღებელი ქცევისა და არაჩვეულებრივ დანაშაულებრივი მოქმედების ხასიათს. ამ შემთხვევებში აღმშრდელობითი და სასწრაფო მუშაობის უკიდურესი სირთულის და სიძნელის გამო პედაგოგები ვერ აღწევენ სასურველ შედეგებს. ასეთ ბავშვებსა და მოზარდებს აკუთვნებენ ეერეფოწოდებულ „ძნელ" ბავშვთა კატეგორიას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ძნელ ბავშვებს არ უნდათ კი არა, არ შეუძლიათ კარგად ისწავლონ და შესაფერად დაიჭიროს თავი.

ბავშვთა (მოზარდთა) სიძნელის მიზეზები მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ სიძნელეს განაპირობებს ძირითადად სამი ფაქტორი: პედაგოგიური ხელმოეშვებულობა, სოციალური უყურადღებობა (თავმინებება) და ანაბრეულობის მხრივ გარკვეული გადახრები. წინამდებარე სტატიაში ჩვენ შეეხებით ბავშვთა სიძნელის ორ კერძოდ მიზეზს, ესე იგი შევეხებით ბავშვთა ქცევის ისეთ გადახრებზე, რომლებსაც საფუძვლად უდევს ბავშვის გარემო ფრის ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენა მის პიროვნებაზე. პიროვნების შეცვლა პედაგოგიკური ხელმოშვებულობ ის დროს წარმოდგენს არადამაკმაყოფილებლად დაკვნილი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგს. ასეთი კატეგორიის ბავშვებს აღენიშნებათ ქცევის ფორმის ამორჩევითობაც, მისი ნებისმიერი ილი ი გადართვა და სწრაფი ცვლილება მიკროჯგუფის ხასიათთან დაკავშირებით. გარშემო მყოფთა მიმართ დამოკიდებულება ყოველთვის ამორჩევითია და არა მთლიანად უარყოფითი. დამოკიდებულების უკანასკნელი ფორმა დამახასიათებელია ფსიქოპათებისათვის. მაშინ როცა ფსიქოპათური პიროვნებები უფრო მარტოხელები არიან, პედაგოგიკურად და სოციალურად ხელმიშვებული ბავშვები ადვილად ჯგუფებად თავის წრეს, გროგოლინის პათოლოგიის შემთხვევებისაგან განსხვავებით (განვითარების ანომალია, ფსიქოპათია) პედაგოგიური ხელმიშვებულობის დროს არ გვხვდება ავადმყოფობით განპირობებული გუნებაბნეწყობის მერყეობა, ჭეშეტატური ამლილობანი, მიდრეკილება ნერვოზული რეაქციებისადმი, ზშირად ალკოჰოლის აუტანლობა და სხვ.

პედაგოგიკურად ხელმიშვებული ბავშვები გამოირჩევიან სკოლაში გამოსამუშაებელი ბევრი თვისების და ჩვენის უკმარისობით ან მათი არარსებობით. სიზარმაცით, სწავლის სუსტი ინტერესით, ეროვნული სასრულ უქონლობით, საშინაო დავალებათა შესრულებისას დაუფიქრობით, ზშირად აცდენენ სკოლას არასაპატიო მიზეზით. ასეთი მოზარდები აგლეჯენ ბევრ უარყოფით ჩვენს, ეწევიან თამბაქოს, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებს, ზშირად იგინებიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობენ. ასეთი მოზარდები ზშირად ყურადღებას იპყრობენ პრიმიტიული მოთხოვნილებებით, უარყოფითი ნებითი მიმართულებით: იჩენენ დიდ გამძლეობასა და დაჟინებას თავისი რომელიმე მიზნის მისაღწევად (თუნდაც შედეგი ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებისათვის მისაღებ ნორმებს), ხოლო ავლენენ უნებისყოფობას, თუ გასაკეთებელია რაიმე სასარგებლო, დადებითი, მაგრამ რაც არ შეესაბამება ან არ აკმაყოფილებს მათს სურვილებსა და ინტერესებს. რაც შეეხება ასეთი მოზარდების პედაგოგიკურ დახასიათებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ბევრ მათგანს პედაგოგები თვლიან კარგი ინტელექტის მქონე, მაგრამ უკიდურესად ზარმაცი მოსწავლეებად. ზოგიერთი მართლაც ამყვანებს ნიჭს — მათემატიკურს, მხატვრულს, მუსიკალურს, მაგრამ შრომისუნარიანობის განსაკუთრებული დაქვეითების გამო მათი ნიჭი განვითარებელი რჩება.

მრავალი მკვლევარის აღიარების თანახმად, პედაგოგიკურ ხელმიშვებულობამდე, პირველ ყოვლისა, მივყავართ არანორმალურ ოჯახურ პირობებს, ბავშვის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის არარსებობას ოჯახსა და სკოლაში, არასაკმარის და გაუნრჩეველ დამოკიდებულებას ბავშვის ინტერესების, მოთხოვნილებებისა და მიდრეკილებების მიმართ.

არაჯანსაღი ოჯახის გავლენა ბავშვზე (მოზარდზე) ძირითადად განსაზღვრება სამი უარყოფითი მომენტით: შვილებში შორის ხშირი უსიამოვნებით, გაუთავებელი კონფლიქტებით; ბავშვის აღზრდის საკითხებისადმი შფობლების უყურადღებობით (რაც ზშირად განაპირობებს ბავშვის უმეთვალყურეობას), შფობლების ხშირვადუნი მგალითების მიცემით. როგორც ცნობილია, შფობლები ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა გზით და მათ შორის ქვეცნობიერადაც, მოქმედებს ბავშვებში გარკვეული საყოფაცხოვრებო ორიენტაციისა და ფსიქოლოგიური თვისებების გამომუშავებაზე.

ბევრი პედაგოგისათვის და ექიმ-ფსიქონევროლოგებისათვის ცნობილია, რომ აღზრდის ძნიშ პირობები ბავშვის პიროვნებაში ყოველგვარი ინდივიდუალობის ჩაშობისთვის გარკვეულად აბრკოლებს ბავშვს და შედეგობში ხელს უწყობს ასთენიური (სუსტი, მყიფე ნერვული სისტემის მქონე) პიროვნების ჩამოყალიბებას; განებივრება, ზედმეტი ალერსი, თანატოლებისა და გარემო წრისაგან მოწყვეტა, შშობლის დაუოკებელი სწრაფვა აღზარდოს ეგრეთწოდებული ჯუნდერკინდი, ოჯახის სათაყვანო კერპი — უფრო ხშირად განაპირობებს ისტერიული პიროვნების ჩამოყალიბებას: უყურადღებობისა და უმეთვალყურეობის „პირობებში კი ხელს უწყობს აგზნებადი, აფექტური პიროვნების ჩამოყალიბებას.

ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ავადმყოფობა ან ინვალიდობა ბავშვის ინტელექტუალურ-ემოციურ სფეროზე ასევე ახდენს ზეგავლენას. ეს ბავშვები ადვილად ეგუებიან ფსიქოპათიის ტიპებს, ეწევიან ალკოჰოლურ სასმელებს, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებს, ხშირად იგინებიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცრუობენ. ასეთი მოზარდები ხშირად ყურადღებას იპყრობენ ეროტიკული ინსტინქტებით, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებს, ეწევიან თამბაქოს, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებს, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებს, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელებ

საქართველოს ამა-ხარში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება, რომ ახალ სასწავლო წელს ქალაქების თბილისახა და რუსთავის მოსამზადებელი და 1-4 კლასების მოსწავლეთა მეცადინეობა დაიწყება 14 სექტემბერს.

ქასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეექვსე ბრიგადას 5,5 ჰექტარი ხილის ბაღი აქვს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ კოსკავშირეულ ცისანა ქეთიშვილს, რომელიც 1967 წელს სიმწიფის ატესტატით მოვიდა მეურნეობაში სამუშაოდ. დღეს იგი მეწინავეთა რიგებში დგას და დღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: ცისანა ქეთიშვილი საადრეო ვაშლის კრეფის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქარხანა — პარკი

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე რომ შეხვალთ, მარტენისა და ბრძმედის ღუმელებთან და საბრძმედე კორპუსებთან ერთად თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ჯამოვნებით გაშენებული პარკები, სკვერები, გაზონები.

ქარხნის გამწვანება-გალამაზების ხაქმეში თვითეულ მეტალურგს მიუღია წვლილი, მაგრამ ამ საქმის „გამწვანების საამქრო“ ემსახურება. ამ საამქროს კოლექტივმა (უფროსი დ. ლოლაძე) ქარხნის ტერიტორიაზე საკმაოდ მოზრდილი ხეხილის ბაღიც გააშენა. აქ ნახავთ ვაშლს, მსხალს, ატამს, კაკალს და სხვა მსმოიარე ხეხილს.

მეტალურგებს ნერგების მოსატანად შორს წასვლა არ უხდებათ. აქვე ქარხნის ტერიტორიაზე 15 ჰექტარი ფართობი გამოყოფილი აქვს სანერგე მეურნეობას. გარდა ამისა, არის ორანერგია, სადაც თვითთნვე გამოჰყავთ მცენარეთა საუკეთესო ჯიშები.

წელს გამწვანების საამქროს კოლექტივმა ქარხნის ტერიტორიაზე დარგო და გაახარა ათასობით ძირი მარად მწვანე და დეკორატიული მცენარე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება, რომ ახალ სასწავლო წელს ქალაქების თბილისახა და რუსთავის მოსამზადებელი და 1-4 კლასების მოსწავლეთა მეცადინეობა დაიწყება 14 სექტემბერს.

◆

ყურადღება სადარაჯოზე

სკოლის ჰიგიენას

რამდენიმე დღის შემდეგ რესპუბლიკის სკოლებში დაიწყება სასწავლო წელი. ათასობით ბავშვი მოვა სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და ბაგებში. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის ემზადებიან არა მარტო მოსწავლეები, განათლების მუშაკები, მშობლები, არამედ მედიცინის მუშაკებიც. სკოლის ექიმების, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის წარმომადგენლებს ეკისრებათ ზრუნვა ბავშვთა ჯანმრთელობისათვის. მათ თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ სკოლაში ზუსტად დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური წესები.

ბავშვებს უნდა შეეუქმნათ ყველა საჭირო ჰიგიენური პირობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა არის კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა შემთხვევები.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებს, ისევე როგორც მოზრდილებს, შეიძლება დაემართოთ კუჭ-ნაწლავის მწვავე ავადმყოფობა, და კერძოდ, კოლერა. ამასთან ამ დაავადებებს ისინი უფრო ძნელად იტანენ.

რა მოთხოვნებს ვუყენებთ დღეს სბავშვო ბაღებს, ბაგებს, სბავშვო სახლებს, სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს, რათა თავიდან ავაცილოთ ბავშვებს კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებანი?

— ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უფროსმა ინსპექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა ლ. გარნოვსკიმ, — რათა სბავშვო დაწესებულებებსა და სკოლებში იცავდნენ სანიმუშო წესრიგსა და სისუფთავეს. ეს ეხება სკოლებისა და სბავშვო დაწესებულებების მახლობლად მდებარე ეზოებსაც და უბნებსაც.

სკოლის ეზო ყოველდღიურად უნდა დავალაგოთ და მოვრწყათ, ნაგვის ყუთები კარგად უნდა იყოს დიზურული, ნაგავი ყოველდღე უნდა გავიტანოთ. განვახორციელოთ იმ ადგილების საეალდებულო დეზინფექცია, სადაც დადგმულია ნაგვის ყუთები. დეზინფექცია უნდა გავუკეთოთ თვით სანაგვე ყუთებსაც.

სანიტარიული შორები, ეზოში იქნება თუ შენობაში, სისტემატურად უნდა დავამუშავოთ სადეზინფექციო მასალებით. ამისათვის საჭიროა გამოვყოთ სპეციალური მოსამსახურეებული ყურადღება და პასუხისმგებლობა. ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები ფხიზლად უნდა ადევნებდნენ თვალყურს სანიტარიული და ჰიგიენური წესების დაცვას პროდუქტების შემოტანის, შენახვის, დამუშავებისა და კერძების დამზადების დროს. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ქვაბის ბლოკების ყველა მუშაკმა კიდევ ერთხელ უნდა გაიაროს სპეციალური სამედიცინო შემოწმება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჭურჭლის, ჭიქების, დანების, კოვზებისა და ჩანგლების რეცხვასა და გამშრალებას სბავშვო დაწესებულებებში. ჭურჭელი აუცილებლად უნდა გაირეცხოს გამდინარე ცხელი წყლით სამ განყოფილებაში რეცხვა და შრობა (დალბობა, მდუღარე წყლით). ჭურჭელი ტილოთი არ უნდა გაგამშრალოთ. კოვზები, დანა-ჩანგალი უნდა გამოიხარშოს. მთელი სამაცივრო დანადგარები სავსებით უნდა მოვაწესრიგოთ პროდუქტების შენახვის რეჟიმის მაქსიმალური დაცვისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დაცვას. მათ აუცილებლად მაუწლედ უნდა ჰქონდეთ შეკრილ ფრჩხილება და სუფთად იქონიონ ხელები. ამას ყოველდღიურად თვალყური უნდა ადევნონ აღმზრდელებმა, პედაგოგებმა, სასურველია მორიგე მშობლებთან ერთად.

მასწავლებლებმა გაკვეთილებზე ყურადღება უნდა დაუთმონ ჰიგიენის საკითხებს, სასურველია, რომ სკოლის ექიმები აწყობდნენ საუბრებს სანიტარიისა და ჰიგიენის წესებზე.

სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, დირექციამ და განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ზემოთ აღნიშნული ყველა ღონისძიების განხორციელებასა და შესრულებაში. ამ საქმეში მათ საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ მშობლების კომიტეტებმა. (საქდესი).

ახალი საქონლიტრო ფაბრიკა

ჟუთაისს კვების მრეწველობის ახალი გიგანტი შეემატა, საეგზპლოატაციოდ გადაეცა ახალი საკონდიტრო ფაბრიკა, რომელიც წლიურად 6.500 ტონა ნაწარმს გამოუშვებს. აქ დამზადდებენ მაღალხარისხოვან რბილ კამფეტებს, ნამცხვარს, მარმელადს, აღმოსავლურ ტკბილეულს, დრაჟეს, ვაფლს, ზეფირს, პასტილას, ტორტსა და ტკბილ ღვეზელს.

საკონდიტრო ფაბრიკის 5-სართულიანი ძირითადი და 2-სართულიანი დამხმარე კორპუსების საერთო საწარმოო ფართობი 14.500 კვადრატული მეტრია. ძირითად საამქროებთან ერთად აშენდა მთელი რიგი დამხმარე ნაგებობანი. აიგო დიდი საქვაბე კორპუსი, ელექტროქვანადგური, სამაცივრო კამერები, მექანიკური, საკომპრესორო და მუყაოს ყუთების დამამზადებელი საამქრო, აგრეთვე საკუთარი ლითოგრაფია ეტიკეტების დასაბეჭდად.

ფაბრიკა მთლიანად უახლესი სამამულო და საზღვარგარეთული მოწყობილობით არის აღჭურვილი. ყველა ძირითადი საწარმო პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. ნედლეულისა და მზა პროდუქციის გადატანა წარმოებს სპეციალური ლიფტებით, ჰაერი კონდიციირებულია, მოწყობილია ვენტილაცია.

მალე ქუთაისელ კონდიტერთა ნახელავს ჩვენი ქვეყნის ბევრ კუთხეში გაიცნობენ. (საკ. კორ.).

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲓᲐᲜ

მადლობა

რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლის წარმატება ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე საფრანგეთში

ამ შარასაკნელი წლების მანძილზე ქართულმა ხელოვნებამ ფართო პოპულარობა და აღიარება მოიპოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. საზღვარგარეთ სულ უფრო ხშირად გამოდიან და ქართულ კულტურას მეგობრებს უმრავლესენ ჩვენი რესპუბლიკის პროფესიული მხატვრული კოლექტივები — ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, თეატრები, ორკესტრები, ცალკეული შემსრულებლები. პროფესიულ კოლექტივებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ფესტივალებზე წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები.

ახლახან საფრანგეთში, შარანტის დეპარტამენტის ქალაქ კონფოლანში სხეიმოდ დაიხურა ფოლკლორის III-13 საერთაშორისო ფესტივალი. წელს ამ დიდ ტრადიციულ დღესასწაულში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩვიდმეტი ქვეყნის მხატვრული კოლექტივები, მათ შორის ავსტრიის, ესპანეთის, ლიბანის, თურქეთის, ტუნისის, რუმინეთის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები და ჯგუფები.

ფესტივალი მიმდინარეობდა კონფოლანის ერთ-ერთ უდიდეს საკონცერტო დარბაზში, რომელშიც 2.000-ზე მეტი კაცი ეტევა. ფესტივალის გახსნის პატივი ხვდა საბჭოთა კოლექტივს — ქალაქ რუსთავის თვითმოქმედ ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სალხინოს“ (მხატვრული ხელმძღვანელი რევაზ მორჩილაძე).

ფოლკლორის ამ დიდ საერთაშორისო დღესასწაულის მრავალრიცხოვანი მაყურებლები და სტუმრები, რომელთა შორის იყო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის სახელმწიფო მდივანი ჟოზეფ კომიტი, გულმხურვალედ შეხვდნენ ქართულ ანსამბლს. ანსამბლს პროგრამაში ჰქონდა ხალხური სიმღერები და ცეკვები. განსაკუთრებით მოეწონათ „საქორწინო ცეკვა“, „ხორუმი“, „ფარიკაობა“, „სალხინო“, ხალხური სიმღერები „ოდია“, „ნანა“, ძველი ქართული საგალობლები, თანამედროვე სიმღერები...

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლ „სალხინოს“ დიდ წარმატებას ნათლად მოწმობს ფესტივალის პრეზიდენტის კეზრი კურსაქეს წერილი, რომელიც ამ დღეებში მიიღო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ოთარ თუქუშაძემ.

„ბატონო მინისტრო, — ნათქვამია წერილში, — ეს-ეს არის დამთავრდა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის მეგობრობის კოცონი უკვე ანთია. მაგრამ მისი ყველა მონაწილისა და მაყურებლის გულში იგი მარად ენთება.

ჩვენ ფესტივალზე გამოგზავნეთ ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „სალხინო“, რომელსაც ფოლკლორის დარგში ხელოვნების მაღალი მწვერვალებისათვის მიეღწევია. სცენაზე მისი ყოველი გამოჩენა უდიდეს აღფრთოვანებას იწვევდა. მრავალრიცხოვანი მაყურებელი ხაფრანგეთის სხვადასხვა კუთხიდან და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქართული ანსამბლის ხელოვნების გამო.

როგორც საერთო-საკაცობრიო, ისე ერთა შორის მეგობრობის განმტკიცების აზრით, რაც ჩვენი ფესტივალის მისია, ქართული ანსამბლის მონაწილეობა ფესტივალში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

„სალხინოს“ გამოსვლა დაუვიწყარია. უდიდეს მადლობას მოგახსენებთ ასეთი მშვენიერი ანსამბლის გამოგზავნისათვის. მიიღეთ, ბატონო მინისტრო, ჩემი საუკეთესო სურვილები“.

* * *

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც ფესტივალამდე, ისე მისი დამთავრების შემდეგ „სალხინოს“ კონცერტები ჰქონდა საფრანგეთის ბასკეთში და ჩვენის სხვადასხვა დეპარტამენტის ქალაქებში. ადგილობრივი პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართული თვითმოქმედი ანსამბლის ხელოვნებას.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲮᲣᲗᲘᲜᲘ ᲨᲮᲐᲠᲐᲖᲔ

მესტია, 26 აგვისტო. (საქდესის კორ.). საქართველოს დედაქალაქის მთამსვლელთა ნაკრება გუნდი, რომელშიც შედიან შოთა მირიანაშვილი, დიმიტრი დანგაძე, ოთარ ხაზარაშვილი, ალექსი გავაშელი და ლევან ღლონტი, ავიდა დასავლეთ შხარაზე სამხრეთ-დასავლეთი კედლით. იერიშში მიმდინარეობდა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და ცხრა დღეს გაგრძელდა.

ეს ახალი განსრულიელდა ტექნიკურად რთული ასვლების კლასში საბჭოთა კავშირის პირველობის პროგრამის ფარგლებში.

მოიერიშეთა ჯგუფი, რომელმაც თავისი მიღწევა მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს, სანაბაზო ბანაკში დაბრუნდა.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐᲨᲘ

ბარსელონაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში მოსკოვის „დინამოს“, ესპანეთის „ბარსელონას“, უნგრეთის „უიპეშტ-დოჟასა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შალკე-04“ საკლუბო გუნდების მონაწილეობით.

პირველი მატჩი მოსკოვის დინამოელებს ჰქონდათ „ბარსელონასთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0 (2:0). ორი გოლის ავტორი იყო ევგრუეკინი, თითო ბურთი გაიტანეს ეუტრეკოვმა, მასლოვმა და სიომინმა.

მატჩი უნგრეთის „უიპეშტ-დოჟასა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შალკე-04“ გუნდებს შორის დამთავრდა უნგრელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0 (0:0).

ამრიგად, ფინალში გავიდნენ მოსკოველი „დინამოსა“ და უნგრეთის „უიპეშტ-დოჟას“ გუნდები. დასკვნითი ასპარეზობა შედგა გუშინ.

ᲘᲡᲔᲕ Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ

ამერიკის შეერთებული შტატების დღა ჩემპიონატში გამოსვლამდე საბჭოთა ჩოგბურთელები მონაწილეობენ ნიუ-ჯერსის შტატის ტურნირში. ამ ტურნირზე წარმატებით გამოდის ჩვენი თანამემამულე ა. მეტრეველი. მან პირველ წრეში ჯერ დამარცხა ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ბილი ბოურეი 6:3, 7:5, ხოლო შემდეგ ჩილის წარმომადგენელი ჯაიმე ფილოლი 8:6, 6:2.

წარმატებით აიღო აგრეთვე სტარტი ოლღა მორროზოვამ, მან მოუგო პატ ვალკდენს 7:5, 6:2. ახალგაზრდა ალმაატელ მარინე კროშინას პაექრობა ჰქონდა ცნობილ ავსტრალიელ ჩოგბურთელთან ჯუდი ტეგვარტთან (დალტონი) და დამარცხდა 0:6, 5:7. ასპარეზობას გამოეთიმა აგრეთვე მოსკოველი ვ. კოროტკოვი, მან წააგო შეხვედრა ფრანგ ჟან რუიესთან 6:8, 4:6.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡᲛᲔᲜᲔᲑᲖᲔ...

ჟურნალ „საფრანგეთი-სსრკ“-ს აგვისტო-სექტემბრის ნომერში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს სპორტულ ცხოვრებას საბჭოთა კავშირში. მასში გამოქვეყნებულია სტატია საბჭოთა სპორტის ისტორიაზე, მის ახლანდელ მდგომარეობაზე. სტატია გაფორმებულია ოცდაათამდე ფოტოსურათით. ფრანგ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ცალკეულ სპორტულ კოლექტივს, საკავშირო ფედერაციათა მუშაობას, სპორტულ საზოგადოებებს, რომლებიც აერთიანებენ მილიონობით ფიზკულტურელს. სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს სპორტში აქტიურად მომეცადეინეთა რაოდენობით.

„ლევ იაშინი მსოფლიოს მილიონობით ფეხბურთის მოყვარულთა აზრით — ყველა დროის საუკეთესო მეკარეა“ — ასე გამოქვეყნდა ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკის“ ამასწინანდელ ნომერში რუბრიკით — „ადამიანები, დრო, ბედი“. იაშინის თამაშის „საიდუმლოებათა“ კვლევაში გაზეთს მოჰყავს ამ უბადლო მეკარის ოსტატობის დიტალები — იგი განუწყვეტლივ ვარჯიშობს, მოქმედებს რაციონალურად, კარის წინ შექმნილ საშიშ სიტუაციებში იბრძვის უბრალოდ, მაგრამ იშვიათი სიზუსტით, ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარეგნულ ეფექტს.

გაზეთს მიაჩნია, რომ მეკარე ლ. იაშინი ბოლოს შეწვრთნილი გახდება და როდესაც ეს მოხდება, გულშემატკივრებს მესაკოლონად ეკრნებათ მატჩები, რომლებშიც მონაწილეობდა ლ. იაშინი. როგორც მოსკოვის „დინამოს“, ისე სსრ კავშირისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებში.

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲖᲗᲘᲗᲘᲓᲐᲜ

ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლეს სახამართლოში დამთავრდა რუსთავის ხარმონტო-მექანიკური ქარხნის ყოფილი მუშაკების ჯგუფის პროცესი, რომლებიც ამხილეს მექრთამეობაში, სოციალისტური ქონების დატაცებასა და საანგარიშო ცნობებში სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ დამახინჯებული მონაცემების მიწოდებაში.

...ქარხანაში ადგენდნენ იმ მუშა-მოსამსახურეთა სიებს, რომლებსაც ბინები სჭირდებოდათ. ამ საქმეს განაგებდა ქარხნის ყოფილი დირექტორი დ. კობახიძე. იგი არ იხილავდა კანდიდატურებს ხაზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად. და გასაკვირი არ არის, რომ ახეთ პირობებში სიებში სულ უფრო მატულობდა გარეშე პირებისა და კლებულობდა ხაწარმოს მუშაკთა რიცხვი.

დ. კობახიძე ანგარებით მოქმედებდა. მოკლე დროში დ. კობახიძემ ოერთმეტი ქრთამის მიმცემისაგან მიიღო 14.700 მანეთი, მაგრამ ბინით მხოლოდ რვა კაცის დაკმაყოფილება მოახერხა. მექრთამის დანაშაულებრივ მოქმედებაში შუამავლები იყვნენ ქარხნის მუშაკები ვ. პონომარიოვი და დ. ლორთქიფანიძე.

ფიქციური საბუღალტრო დოკუმენტების შედგენინ, ყალბი ბრძანებების გამოცემის, შეუსრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ჭეტების დადებისა და სხვა მაქინაციების გზით დ. კობახიძემ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ოთხი წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღო 113.823 მანეთის დატაცებაში. ხოლო სულ 1962-დან 1968-წლამდე ქარხანაში დატაცეს 115.435 მანეთი.

დ. კობახიძემ და მთავარმა ინჟინერმა ა. გოგეშვილმა თავიანთ კომბინაციებში ჩაითრიეს ქარხნის მთავარი ბუღალტერი ს. ბონდარენკო. ამ სამის გარდა დამტაცებელთა ჯგუფში შედიოდნენ მექანიკური ხაამქროს უფროსი რ. მელრაბიანი, ინჟინერ-კონსტრუქტორი დ. ლორთქიფანიძე, მნრომავი ე. რომანჩენკო, თბილისის ხაშენ მასალათა კომბინატის მთავარი მექანიკოსი რ. წერეთელი, ამავე კომბინატის ხაწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ლ. მოხტოვი, რუსთაველის ხარმონტო-მექანიკური ქარხნის მთავარი მექანიკოსი ვ. ნაზარენკო, ინჟინერი რ. ნინიკაშვილი, მთავარი ბუღალტერი ა. ტიბილოვა, რომელმაც შეცვალა სამუშაოდან წასული ს. ბონდარენკო, მოლარეები ლ. ვაშაძე, მ. ბუცუკი და სხვები. მათ ყველას დაუმტკიცდა დიდი თანხის დატაცებაში მონაწილეობა.

დამნაშავეები ეპარავდნენ ხალხსაკუთრებას, ანაგვიანებდნენ სახელმწიფო ხარჯებს და მოხერხებულად ინიღბებოდნენ ყალბი ხაანგარიშგებო ციფრებით. ისინი ზემდგომ ორგანოებში წარადგენდნენ ხელოვნურად დამახინჯებულ სახელმწიფო დავალებათა შესრულების მაჩვენებლებს. დ. კობახიძემ მითვალა 127.404 მანეთი, ა. გოგეშვილმა — 61.894 მანეთი.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სახამართლომ უ. თარგამაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მხაჯულების ლ. ცქიფურიშვილისა და ნ. მარღანიას შემადგენლობით, გამოვალსწინა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დამნაშავეებს გამოუტანა მკაცრი განაჩენი. დ. კობახიძეს მიესაჯა სახელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. ა. გოგეშვილს — 15 წლის თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია. რ. მელრაბიანსა და ვ. პონომარიოვს — 13 წლის, დ. ლორთქიფანიძესა და ს. ბონდარენკოს — 12 წლის თავისუფლების აღკვეთა. დანარჩენ ბრალდებულებს მიესაჯათ სხვადასხვა ვადის თავისუფლების აღკვეთა. ქრთამის მიმცემთ, რომელებმაც მოისურვეს უკანონოდ მიეღოთ ბინები, მიესაჯათ 3-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

(საქდესი).

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲓᲔᲚᲤᲘᲜᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲑ

ეს მოხდა ახლახან, ოჩაკოვის ახლოს. ხერსონის ელექტრომექანიკური ქარხნის თანამშრომელი რაისა საკოვსკაია რეზინის კამერაზე გაწოლილი ზზის აბაზანებს იღებდა ნაპირის ახლოს. ქალიშვილმა ვერ შეამჩნია, რომ ტალღები თანდათან აშორებდა ნაპირს. როცა გამოფხიზლდა, სანაპირო ოდნავღა მოჩანდა. მან სცადა ხელებით მიეცა კამერისათვის მიმართულება, მაგრამ ამაოდ — ტალღები უფრო და უფრო შორს მიაცურებდა. მეუმრნეველად ჩამოლამდა. დარჩა ერთადერთი იმედი, რომ დღისით რომელიმე გემიდან შენიშნავდნენ და აიყვანდნენ...

დაიწყო მეორე ღამეც. რაისას მოეჩვენა; რომ რაღაც თუ ვიღაც ტრიალებს მის გარშემო, თითქოს კამერას წიწკნისო. გადაიხარა და წყალში მართლაც დაინახა თევზები, რომლებიც კამერას ეხვეოდნენ და წიწკნიდნენ. გოგონა შიშმა შეიპყრო. შემდეგ მას შემოესმა წყლის შხაპუნი. ეს ხმა მთელი ღამის განმავლობაში ესმოდა. დილით ქალიშვილმა დაინახა დელფინები, რომლებმაც გაფანტეს თევზები და კამერის ირგვლივ დაიწყეს თამაში, თითქოს მიმართულებას უკარნახებენო. რაისამ სცადა ნაპირისაკენ მიეცა მიმართულება კამერისათვის, მაგრამ ხელები აღარ ემორჩილებოდა. დელფინები კი თავს არ ანებებდნენ გოგონას. მასთან იყვნენ შეოთხე დღესაც, როცა ახლოს გავლილმა ბუქსირმა შეამჩნია რაისა და გემბანზე აიყვანა.

ეს სურათი გადაღებულია უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიევის ზოოლოგიის ინსტიტუტში, სადაც აკვარიუმებიან საოცარ ცხოველებს — დელფინებს. დელფინები ხიამოვნებით თამაშობენ პატარა ბავშვებთან.

ᲠᲐᲓᲘᲝ

28 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით

07.30—დილის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — რ. გაბიჩავაძე. კამერული ნაწარმოებები, 12.10 — საუბარი „მეშახტის დღე“, 12.25 — რ. შტრაუსი. სიმფონიური პოემა „ასე ამბობდა ზარათუსტრა“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მღერის ვოკალური კვარტეტი მ. ხატელიშვილის ხელმძღვანელობით, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მიმოხილვა, 15.00 — ჯაზბეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის ზეიმი. ალმა-ათაში. რეპორტაჟი (მოსკოვი), 19.15 — სიმღერები ლენინის იუბილეების შესრულებით, 19.40 — ფ. ენგელსის დაბადების 150 წლისთავისათვის. რეპორტაჟი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მუზეუმიდან (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „თქვენთვის, ცნობისმოყვარეებო!“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.00 — ციკლიდან „საბჭოთა მწერლების ლიტერატურული პორტრეტები“ — მ. ლუკონინი, 22.50 — მუსიკა „ინოფილმებიდან, 23.30 — ო. გორდელი. საფორტეპიანო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „მკვლელობის საფასური გადახდილია“ (ქართულ ენაზე), 12.15 — საქართველოს თერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „ფიროსმანი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეტროქენები“, 19.00 — ლიტერატურული გადაცემა, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა, 21.15 — საქართველოს თერადი ტელევიზია — „კინოობიექტივი“, 23.15 — სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი (გადმოცემა სოფოტიდან).

ᲙᲘᲜᲝ

27 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო) ფილარმონიის ბაღი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, ოდლიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, გორის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხული), ლიხაოული — ბინა; ამირანი (საზაფხული), საქართველო (მწვანე დარბაზი), ვარძია, ყაზბეგი (მეორე დარბაზი), თბილისი, ოფიციერთა სახლი — ჭამბურველი პრესის ხელმწიფე; საქართველო (საზაფხული) — აგენტი უნებლიეთ.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-37-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-59, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-29-54.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ᲗᲣ 05736

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

8